№ 13.445

Date 01.05.2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ი, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 ივლისის N2-630 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე, ახორციელებს 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციას.

ექსპლუატაციის ეტაპზე, საჭირო გახდა რიგი ცვლილების დაგეგმვა, რომელიც ეხება რეზერვუარი-სალექარის მიმდებარედ არსებული ინფრასტრუქტურის ცვლილებას და საწარმოო ტერიტორიაზე, ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის გათვალისწინებით, დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, 2023 წლის 06 მარტის N13.078 წერილით კომპანიამ წარმოადგინა სკრინინგის განცხადება.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 11 აპრილის N21/2543 წერილით სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით კომპანიას წარმოედგინა დასაზუსტებელი საკითხები/შენიშვნები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ შესწორებულ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართები

1. ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში - 1 გზემპლარი (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

2. პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის GIS კოორდინატები Shp ფაილების სახით - ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

ჯონდო შუბითიძე

გენერალური დირექტორი

გარემოს ეროვნული სააგენტო
„02" 05 2023
№ 3300

#1 M.Aleksidze Str, 3 lane, 0193 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 247 45 45
Email: info@richmetalsgroup.com
Web: www.richmetalsgroup.com

თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ. #1 მე - 3 შესახვევი
ტელ. +995 32 247 45 45
info@richmetalsgroup.com
www.richmetalsgroup.com